ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აპრილის 25. № 8 ცხილისი.

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

53. „პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის თაობაზე“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

54. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.
ხოფლის მეურნეობა.

55. საქართველოში 1936 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ.

56. ბამბის თესვის კამპანიისა და 1936 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

57. საბაზრო კომიტეტების დებულების გაუქმების შესახებ.

58. 1936 წელს კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ.

ფინანსები.

59. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

60. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მედიკამენტებით ვაჭრობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

53. დადგენილება ც. ა.კ და ს. კ. ს.

„პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის თაობაზე“ გამოცემულ, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. სექტემარის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 54 №-ი. მუხ. 442), რომლითაც გაუქმებულია მე-2 მუხლი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებისა „პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ“, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას:

1) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილება „პირველადი კოოპერატივებისათვის შეღავათთა შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11);

2) სარეწაო კოოპერაციის დებულების მე-9-[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11);

3) ინვალიდთა კოოპერაციის დებულების მე-2 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 21 №-ი, მუხ. 126).

სრ. საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. მარტის 14/26. № 124/517.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალი

54. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნისათვის მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნას (საქ. სსრ. კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 75) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების სახელით, ოპერაციების საწარმოებლად საჭირო რწმუნებულება განიფორმება სახელმწიფო ბანკის მიერ დადგენილი წესებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ მარტის 14/26. № 125/316.
ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

55. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ (ბ) ც.კ.

საქართველოში 1936 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ.

„1936 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 19-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1936 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის გეგმა 789.000 ცენტნერის რაოდენობით (ჭარხლის იმ რაოდენობის ჩაუთვლელად, რასაც კოლექტიური მეურნეობანი ჩააბარებენ ნატურასასყიდლის სახით სამანქანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრაქტორო სადგურების მიერ გაწეული მუშაობისათვის) შემდეგი განაწილებით ცალკეულ რაიონებზე:

რაიონები	თესვის გეგმა ჰექტარობით	ჭარხლის ჩაბარების საშუალო სარაიონო ნორმა 1 ჰექტარზე ცენტნერობით	კონტრაქტაციის გეგმა ცენტნერობით
ხაშურის	2.800	143,3	401.300
გორის	1.100	182,0	200.200
კასპის	1.100	165,0	181.500
ს უ ლ	5.000	156,6	783.000

2. დაევალოს ჭარხლის მთესველი რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს—დაადიფერენცონ ჭარხლის ჩაბარების ნორმები თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის ცალკე, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობების მიმართ—თვითეული სოფლისათვის ცალკე, — ისე, რომ ამა დადგენილებით განსაზღვრული, შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის საერთო გეგმა აღსრულებულ იქნას აუცილებლად.

3. დატოვებულ იქნას 1936 წლისათვის ძალაში ჭარხლის კონტრაქტაციის პირობები, რაც განსაზღვრულია სსრ-კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 13-ის დადგენილებით „შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (ოქმი № 5, 1935 წ.).

4. კოლექტიური მეურნეობების გამგეობებმა უნდა დაამყარონ რგოლეულების ხელმძღვანელებისა და რგოლეულების წევრების დაპრემიების შემდეგი წესი:

ა) რგოლების იმ ხელმძღვანელთ, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს კოლექტიური მეურნეობისათვის დაწესებული გეგმა კონტრაქტაციით და ნატურასასყიდლით ჭარხლის ჩაბარებისა, დაურიცხონ გამომუშავებული შრომა-დღეების ზედმეტად 20-30 შრომა-დღე თვითეულს, რგოლეულის სიდიდისა და გადაჭარბებით შესრულების ოდენობის მიხედვით;

ბ) როდესაც კოლექტიური მეურნეობა პრემია-წანამატს მიიღებს გეგმის ზედმეტად ჩაბარებული ჭარხლისათვის, პრემია-წანამატის თანხის 50% გაანაწილონ რგოლების იმ წევრთა შორის, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს ჩაბარების გეგმა, მათ მიერ რგოლეულის გეგმის ზედმეტად ჩაბარებული ჭარხლის რაოდენობის შესაბამისად;

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტიურმა მეურნეობამ გეგმა ვერ შეასრულა და პრემია-წანამატი ვერ მიიღო, ხოლო კოლექტიური მეურნეობის ცალ-

კეულმა რგოლეულებმა გადაჭარბებით შეასრულეს კოლექტიური მეურნეობის მიერ დადგენილი გეგმა შაქრის ჭარხლის ჩაბარებისა, აძლიონ კოლექტიური მეურნეობების მიერ ჩაბარებულ ჭარხალში მიღებული ფულადი სახსრის 10 პროცენტამდე, პრემიის სახით, იმ რგოლეულების წევრებს, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს ჭარხლის ჩაბარების გეგმა.

5. დაევალოს აგარის შაქრის ქარხანას—დაამთავროს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება არა უგვიანეს ა/წ. მარტის 25-ისა.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ჭარხლის მთესველი რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ხუთასეულ-ქალთა მუშაობის მეთოდების ფართო შთანერგვის საფუძველზე, არა მარტო შეასრულონ, არამედ გადაჭარბებით შეასრულონ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის ვალდებულებანი, რაც მიღებულია რაიონების მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან გამართულ თათბირზე 1936 წ. იანვრის 19-ს და რაც დამტკიცებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. იანვრის 31-ის გადაწყვეტილებით, და ამით უზრუნველყონ, რათა 1936 წელს დაფარულ იქნას შაქრის ჭარხლის დანაკლისი 1935 წლისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1936 წ. მარტის 13/7. № 184.
ტფილისი.

---

56. დადგენილება ს. კ. ს. და ს. კ. პ. (ბ) ც. კ.

ბამბის თესვის კამპანიისა და 1936 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1936 წლისათვის დამტკიცებული გეგმა ბამბის თესვისა 4.500 ჰექტარის რაოდენობით განაწილებულ იქნას რაიონებზე და სექტორებზე შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	სულ ჰექტარობით	აქედან	
		კოლმეურნეობებში	ინდივიდუალ. სექტორში
ბორჩალოს	2.700	2.229	471
ყარაიას	1.300	1.147	153
ლუქსემბურგის	500	260	240
სულ . . .	4.500	3.636	864

ამ რიცხვში, წმინდა ჯიშის თესლის ფონდის გადიდების მიზნით, ელიტის დათესვის და პირველი და მეორე რეპროდუქციის დათესვის გეგმა განისაზღვროს 578 ჰექტარის რაოდენობით და შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

ბორჩალოს რაიონში: ელიტი—15 ჰექტარი, პირველი რეპროდუქცია—153 ჰექტარი და მეორე რეპროდუქცია—400 ჰექტარი, ყარაიას რაიონში ელიტი—10 ჰექტარი.

2. ბამბის მოსავლიანობის გეგმა დამტკიცებულ იქნას 10,2 ცენტნერის რაოდენობით 1 ჰექტარზე, შემდეგი განაწილებით რაიონებსა და სექტორებზე:

რაიონები	კოლმეურნეობებში	ინდივიდ. მეურნეობ.	საშუალო სარაიონო მოსავლ.
ბორჩალოს	9,75	8,9	9,6
ყარაიას	10,95	9,65	10,8
ლუქსემბურგის	12,64	11,1	11,9
სულ . . .	10,34	9,64	10,2

ელიტის მოსავლიანობის გეგმა განისაზღვროს 15 ცენტნერით ჰექტარზე.

3. „1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 28-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ „იზვესტიას“ 51 №-ი 1936 წ.), კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნას 4.190 ტონის რაოდენობით (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის ნატურასასყიდლის სახით ჩასაბარებელი ნედლი ბამბის ჩაუთვლელად), შემდეგი განაწილებით ცალკეულ რაიონებსა და სექტორებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	კოლექტიური მეურნეობანი		ერთპიროვნული მეურნეობანი		კონტრაქტაციის საერთო გეგმა ტონობით.
	ერთ ჰექტ. ნედლი ბამბის ჩაბარების ნორმა ნატურასასყიდლის ჩაუთვლელად (ცენტნეროობით)	ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა (ტონობით)	ერთ ჰექტარზე ნედლი ბამბის ჩაბარ. ნორმა (ცენტნეროობ.)	ნედლი ბამბის კონტრაქ. გეგმა (ტონ).	
ბორჩალოს . . .	8,81	1963,0	8,9	419,0	2382,0
ყარაიას	9,65	1106,0	9,65	147,5	1253,5
ლუქსემბურგის .	11,1	288,0	11,1	266,5	554,5
ს უ ლ . . .	9,23	3357,0	9,64	833,0	4190,0

4. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლექტიურ მეურნეობებში გაწეული მუშაობის ნატურასასყიდლის გეგმა განისაზღვროს 400 ტონით., აქედან: ბორჩალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის—210 ტონა, ყარაიას სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის—150 ტონა და ლუქსემბურგის სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის—40 ტონა.

5. ბორჩალოს, ყარაიას და ლუქსემბურგის რაიონების საარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა—რაიონებისა, კოლექტიური მეურნეობებისა ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დამტკიცებული თესვის გეგმისა და მოსავლიანობის ხაზით მიცემული დავალიანებების შესაბამისად—უნდა განსაზღვრონ არა უგვიანეს მარტის 15-ისა თვითეული კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის სასოფლო საბჭოების მიხედვით სახელმწიფოსა თვის კონტრაქტაციის ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა.

6. დატოვებულ იქნას ძალაში 1936 წლისათვის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის არსებული პირობები, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 7-ის დადგენილებით „1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ", სხვათა შორის (გამონაკლისის სახით), შეღავათიან ფასად ზეთისა, კოპტონისა და ბამბა-ლინტერის გაცემა ბამბის ჩაბარებისათვის.

7. ის კოლექტიური მეურნეობანი და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობანი, რომელნიც ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ, მიიღებენ გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ ნედლ ბამბაზე პრემია-წანამატს არსებულ სადამზადებლო ფასისას.

პრემიის გაცემის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 7-ის დადგენილება „1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" შემდეგი დამატებებით, რაც მიღებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1936 წლისათვის 1936 წ. თებერვლის 28-ის დადგენილებით „1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ".

ა) უკეთუ სარწყავ რაიონებში ამერიკული ჯიშის ნედლი ბამბა ჩაბარებული იქნა ერთ ჰექტარიდან 15 ცენტნერზე მეტი რაოდენობით,—15 ცენტნერის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გაცემულ იქნას წანამატი არსებული სადამზადებლო ფასის 200%-ის რაოდენობით—იმის მიუხედავად, თუ ერთ ჰექტარზე რა რაოდენობის ნედლი ბამბაა დაკონტრაქტებული;

ბ) ის კოლექტიური მეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, მიიღებენ დაწესებულ პრემია-წანამატს ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მთელი იმ ბამბის რაოდენობაზე, რასაც ჩააბარებენ კონტრაქტაციის გეგმის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურასასყიდლის გეგმის ზედმეტად, ერთად აღებულისა.

8. ნედლი ბამბის კონტრაქტაციის დამთავრების ვადად დაინიშნოს 1936 წ. აპრილის 1.

9. ბამბის მოსავლიანობის გიდიდების მიზნით განისაზღვროს 1936 წლის გაზაფხულზე მინერალური სასუქის შეტანა ბორჩალოს რაიონის კოლექტიურ მეურნეობების ბამბის მინდვრებში 1.050 ჰექტარი ფართობისათვის და დამტკიცებულ იქნას ადგილობრივ სასუქთა განმზადებისა და შეტანის შემდეგი რაიონობითი გეგმა:

ნაკელი: ბორჩალოს რაიონში—60.000 საზიდავი 979 ჰექტარისათვის, ყარაიას რაიონში—16.000 საზიდავი 400 ჰექტარისათვის და ლუქსემბურგის რაიონში—9.000 საზიდავი 210 ჰექტარისათვის;

ნაცარი: ბორჩალოს რაიონში—2.100 ცენტნერი 350 ჰექტარისათვის, და ლუქსემბურგის რაიონში—400 ცენტნერი 70 ჰექტარისათვის;

ფრინველის განავალი: ბორჩალოს რაიონში—200 ცენტნერი, ყარაიას რაიონში 100 ცენტნერი და ლუქსემბურგის რაიონში—100 ცენტნერი.

ჩხანტი ნაკელი: ბორჩალოს რაიონში—200 ტონა, ყარაიას რაიონში—100 ტონა და ლუქსემბურგის რაიონში—100 ტონა.

10. ბორჩალოს, ყარაიას და ლუქსემბურგის რაიონის სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უნდა უზრუნველყონ ადგილობრივ სასუქთა დამზადების გეგმის აღსრულება, რისთვისაც ადგილობრივი სასუქთა დამზადების დავალებანი უნდა მიეცეს თვითეულ კოლექტიურ მეურნეობას, ბრიგადას, რგოლეულს, ცალკეულ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს.

11. ბააბის თესვა 1936 წელს უნდა წარმოებდეს მარტოოდენ მწკრივად მთესველი სათესებით. ბამბის თესვის ვადა განისაზღვროს აპრილის 25-დან მაისის 5-მდე.

12. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა და კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებმა თესვამდე 10 დღით წინ უნდა მუყაითად შეამოწმონ ბამბის ყვე-

ლა სათესი, დააყენონ სათესები განთესვის ნორმაზე და მწკრივთა დაწესებულ საშუალედო სიგანეზე, მიამაგრონ სათესებს თესვის ბოლომდე მთესველები და აგრეთვე ნაკვეთები; გამოყონ თესვისათვის პასუხისმგებელი წევრი გამგეობისა და მოაწყონ მტკიცე კონტროლი თესლის წესიერად და სათანადო სიღრმეზე ჩაყრისათვის.

ჩატარებულ იქნას თესვის წინ მთლად ბამბის თესლის დაწამლვა ფორმალინით გომოზის წინააღმდეგ, რისთვისაც საჭირო ინვენტარი განმზადებულ იქნას აპრილის 1-მდე.

13. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეამოწმოს ბამბის თესვის განმზადებისათვის საჭირო მუშაობის მსვლელობა და არა უგვიანეს მარტის 20-ისა შემოწმების შედეგები წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ბამბის მთესველი რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლეკტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—უზრუნველყონ 1936 წელს „ოცდაათეულთა“ მუშაობის მეთოდების ფართო გამოყენება და ამ საფუძველზე მიაღწიონ სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით აღსრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1936 წ. მარტის 15/7. № 190).
ტფილისი.

ვაჭრობა. მოგმარაგება

57. დადგენილება ს. კ. ს.

საბაზრო კომიტეტების დებულების გაუქმების შესახებ.

„ადგილობრივი ბაზრების მმართველობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 4-ის თარიღისა და 176 №-ის დადგენილების მე-5 მუხლთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-7 №-ი მუხ. 65), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 21-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საბაზრო კომიტეტების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 107; 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 94; მე-17 №-ი, მუხ. 278: 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 180).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. ჩებუკე.**

1936 წ. მარტის 23. № 294.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. დადგენილება ს. კ. ს.

1936 წელს კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვის შესახებ.

„კვერცხის შესყიდვის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 10-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. თებერვლის 29-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1936 წელს კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვის გეგმა 44 ვაგონის რაოდენობით, შემდეგი, დანაწილებით კვარტალებზე:

	წლიური გეგმა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
აქედან:	44 ვაგ.	4,0	24,0	13,2	2,8
აფხაზ. ასსრ	3 ვაგ.	0,75	1,5	0,5	0,25

და რაიონებზე—თანახმად ამასთანავე დართული ცხრილისა. (იხ. გვ. 104)

2. კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვა საქართველოს სსრ-ში დაეკისროს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას, რომელიც ახორციელებს დამზადებას თავისი ფარდულების, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებისა და სპეციალურად მოწყობილი შემკრეფი აპარატის მეშვეობით; ამასთანავე მიეცეს მას უფლება გაანაღდოს კვერცხი უშუალოდ მომხმარებელთა შორის.

3. დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას სავსებით უზრუნველყოს კვერცხის თავის დროზე გამოტანა დაბზადების პირველადი ადგილებიდან და არ გააჩეროს კვერცხი ამ ადგილებში ხუთ დღეზე მეტ ხანს.

4. დაწესებულ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი შესყიდვის წესით დამზადებულ კვერცხზე შემდეგი საშუალო სადამამზადებლო ფასები: თვითეულ 100 ცალ კვერცხზე I და მე-II ხარისხისა—27 მან. და 50 კაპ. და მე-III და მე-IV ხარისხისაზე—22 მან. და 50 კაპ.

დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—დააწესოს, სამომხმარებლო კოოპერაციასთან შეთანხმებით კვერცხის ზღვრული სადამზადებლო ფასები თვითეული რაიონისათვის და შეცვალოს ხოლმე ეს ფასები სასეზონო ცვალებადობის შესაბამისად და ისეთი ვარაუდით, რომ ფაქტიური წლიური საშუალო სადამზადებლო ფასი არ აღემატებოდეს ამა დადგენილებით დაწესებულ საშუალო ფასს, და რომ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის მიერ სეზონის ცალკეული პერიოდისათვის დაწესებული ფასები არ აღემატებოდეს საშუალო ფასს 20%-ზე მეტად.

5. დატოვებულ იქნას 1936 წელს სამომხმარებლო კოოპერაციისათვის (ცეკავშირი-აფკავშირი) 1935 წელს სახელმწიფოებრივი დამზადებლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი საორგანიზაციო და ზედნადები ხარჯების ნორმები კვერცხის შესყიდვასა და გადამუშავებაზე.

6. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ-ში კვერცხის საბითუმო-საგასაცემო ფასები 457 მან. რაოდენობით თვითეულ ყუთზე და ბრუნვის გადასახადი 27 მან. 42 კაპ. რაოდენობით თვითეულ ყუთზე.

7. დაევალოს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს— დააწესოს ბამბეულისა და ჭურჭლეულის ხვედრი ფონდები და მისცეს იგი სამომხმარებლო კოოპერაციას კვერცხის ჩამბარებლებისათვის მისაყიდად.

8. აეკრძალოს სამომხმარებლო კოოპერაციას და ყველა, დეცენტრალიზებული წესით დამამზადებელ ორგანიზაციას კვერცხის დეცენტრალიზებული წესით დამზადება კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვის წლიური გეგმის შესრულებამდე.

9. ვინაიდან კვერცხზე არსებული დიდი ცალობითი ფასი იწვევს მის გადაჭარბებით დაგროვებას და მასობრივ გაფუჭებას, ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადასინჯოს კვერცხზე არსებული ცალობითი ფასები შემცირების თვალსაზრისით,

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მარტის 21. № 270.
ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

59. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის გაუქმების შესახებ.

„ავტოგზის“ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების „ავტოგზის“ საზოგადოებათა ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 56 №-ი, მუხ. 459), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული, 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71).

სრ საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. მარტის 14/26. № 126/315.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა საქართველოს სსრ-ში 1936 წ. კვერცხის სახელმწიფოებრივი შესყიდვისა.

რაიონები	სულ 1936 წლ.	კვარტალები			
		I	II	III	IV
1. ადიგენის	71	7	30	25	9
2. ახალციხის	191	18	100	68	5
3. ახალქალაქის	422	38	230	139	15
4. ასპინძის	235	17	126	78	14
5. ბაშკიჩეთის	323	24	160	100	39
6. ბოგდანოვკის	222	18	120	65	19
7. ბორჩალოს	172	17	102	51	2
8. გურჯაანის	93	8	50	30	5
9. თელავის	114	6	50	43	15
10. ლუქსემბურგის	143	14	84	42	3
11. წალკის	418	28	200	150	40
12. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქ.	117	—	50	44	23
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	2521	**195**	**1302**	**835**	**189**
13. აბაშის	164	15	100	45	4
14. ვანის	106	9	64	30	3
15. ზუგდიდის	106	9	64	30	3
16. ლანჩხუთის	91	8	58	19	6
17. მარტვილის	177	16	96	52	13
18. მახარაძის	41	—	24	15	2
19. სამტრედიის	184	15	120	45	4
20. ქუთაისის	164	14	104	42	4
21. ჩხოროწყუს	132	8	72	41	11
22. ცხაკაიას	123	12	72	36	3
23. ხობის	106	9	64	30	3
24. ხონის	185	15	110	50	10
სულ დასავლეთ საქართველოში	**1579**	**130**	**948**	**435**	**66**
სულ საქართვ. სსრ-ში (უაფხაზეთოდ)	**4100**	**325**	**2250**	**1270**	**255**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის დაცვა

60. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მედიკამენტებით ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „მედიკამენტების ვაჭრობის შესახებ" გამოცემული, სსრკავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივლისის 2-ის თარიღის და 1348 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-40 №-ი, მუხ. 335), ნება დაერთოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აწარმოოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კონტროლით და აფთიაქებისა და სააფთიაქო სამმართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის მაღაზიების ფასად, მედიკამენტებისა და სააფთიაქო საქონლის ვაჭრობა.

2. შენარჩუნებულ იქნას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 1936 წ. იანვრის 1-მდე არსებული აფთიაქებისა და სანჰიგიენის მაღაზიების ქსელი.

დაწესებულ იქნას, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ახალი აფთიაქებისა და სანჰიგიენის მაღაზიების გახსნა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობის სსრ სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მარტის 10 № 256.
ტფილისი.

ფასი 20 მან.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1963 წ. № 15. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 7/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IV ტირაჟი 1900

თავლ. რწმ. № 87046 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 325